

ვაჟა შატბერაშვილი (საქართველო)

ქართული კულტურის ფსიქოლოგიური ესკიზი

ერის ფსიქოტიპი ყველაზე სახიერად და, იმავდროულად, სიღრმისეულად ტრანსლირდება მრავალპლასტიან კულტურაში, რომელიც ორგემაგე ბუნებისაა: მისი მრავალსახოვანი ჰიპოსტასის შემომქმედია ადამიანი, ერი, თუმცა, ამავე დროს თავად კულტურა ხდება მათი ერთგვარი შემომქმედი, რამეთუ ის უთვალსაჩინო გავლენას ახდენს მათზე, აყალიბებს მათ ბუნებას, ხასიათს, მსოფლგაგებას. ამიტომ შეიძლება ითქვას, ადამიანი ორჯერ იბადება: თავდაპირველად, ბიოლოგიურად, მეორეჯერ კი – სულიერად კულტურული ჰაერეთის (როგორც იტყოდა კ. კაპანელი) მეშვეობით. ეს კანონზომიერი და შეუქცევადი პროცესია, ერების ათასწლოვანი, მრავალსაუკუნოვანი რთული გზის სწორი. რთული კი უფრო რთულდება, თუ ერს გზის გაკვალვა ისტორიულად და დღესაც მოულოდნელსა და მოსალოდნელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ „წინააღმდეგობათა“ ლაბირინთებში უწევს. ამის გამო გზადაგზა იძენს ან კარგავს სხვადასხვა მახასიათებელს, ზოგს კი, უფრო არსობრივს, მყარად ინარჩუნებს. კულტურა თითქმის სარკისებურად აირეკლავს ერის „მიმოსლვასა“ და „ხასიათს“. „უთვალავფერი“ კულტურა ერის გენეტიკური მეხსიერებაცაა. ეს ზოგადი განაცხადი, ცხადია, მიესადაგება ქართველ ერსაც და მის კულტურასაც, მით უფრო, რომ საქართველო აზია-ევროპის, ცივილიზაციათა და კულტურათა გზაჯვარედინზე, სასაზღვრო ზონაში მყოფობდა და ბუნებრივად საზრდოობდა აღმოსავლური თუ დასავლური კულტურული შენაკადებით, ისტორიული ქარტებილები ჩამოქნიდა ერის არაერთ თვისებას, უვითარებდა გარემოებათა მიმართ ადაპტაციის უნარს. ზოგადად, კულტურის ჩამოყალიბებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას: დრო, პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები, სოციალური ვითარება, გეოგრაფიული მდებარეობა, ენა, რელიგია, იდეოლოგია, მათი მუტაცია ან რომელიმე მათგანის პრიორიტეტულობა და ა.შ. ამის გამო კულტურა მათ შესატყვისად განვითარებული მახასიათებლების ერთობლიობადაც უნდა მივიჩნიოთ, მათ თავისებურ კრებით სიმბოლო-ნიშნად. ამიტომ მას ზოგი მეცნიერი ერთან ან საზოგადოებასთან აიგივებს. კულტურის ამ განსაზღვრებებს გარკვეულად ეთანადება ცნობილი მკვლევრის, ს. მუნდი, პერიფრაზირებული აზრიც, რომ კულტურა ყველაზე პიროვნული, ანუ ყველაზე ეროვნული და, იმავდროულად, ყველაზე ინტერნაციონალურია (მუნდი 2001: 27). აქვე შევნიშნავთ, რომ ეს მოკლე, ხისტი ფორმულირება არსებითად კულტურის ფილოსოფიის, კულტურის ეგზისტენციალური ბუნების გამოხატვის მცდელობადაც შეიძლება

ჩაითვალოს. კულტურა არსებობს არა მხოლოდ როგორც სოციალური ფენომენი, არამედ როგორც მაკროგაგება, არსებული თითოეულ ადამიანში, ეთნოსში. კულტურა გაზომვადია. ამიტომ მისი კვლევისას ხშირად ეყრდნობიან მის მახასიათებლებს, მათ შორის, ფსიქოლოგიურ დეტერმინანტებს. გამოდის, რომ კულტურის კვლევა მისი შემქმნელის მახასიათებლების კვლევაცაა. ერისა და კულტურის ამ ორესტრირებული, თანახმიერი/პოლიფონიური თანაარსებობის შესწავლა უძნელესი საქმეა. გარდა ამისა, ჩვენი სამეცნიერო ინტერესის საგანი გაცილებით სხვაა – კულტურის პოლიტიკა¹, რომელსაც, ერთი შეხედვით, არ უნდა ჰქონდეს არაფერი საერთო ერის, მისი კულტურის ფსიქოლოგიური დეტერმინანტების შესწავლასთან ან თუნდაც შესწავლის მცდელობასთან. მეორე მხრივ, კულტურის პოლიტიკის უმთავრესი განმაპირობებელი და განმაპირობებელი სწორედ ადამიანის მიერ შექმნილი კულტურაა. შესაბამისად, კულტურის სფეროს თეორიული და პრაქტიკული მართვა, ანუ კულტურის პოლიტიკა უკავშირდება ადამიანის-როւლი ფსიქოსულიერი კონსტრუქციის მქონე ამ მაღალსულიერი ბიოარსების ფსიქო-ფილოსოფიური, ეგზისტენციალური ბუნებიდან გამომდინარე, მაღალი ღირებულების მქონე არავიტალურსა და მისი ცხოვრების წარმართველ მექანიზმს, ე.წ. კულტურულ მოთხოვნებს, რომლის რეალიზებას იგი ახდენს კულტურაში. ამიტომ მიჩნეულია, რომ ამ მოთხოვნათა ცოდნა და კვლევა აუცილებელია კულტურის მენეჯმენტისათვის.

კულტურა, ხატოვნად რომ ვთქვათ, გაჩნდა ადამიანის გაჩენისთანავე, მისი მნიშვნელობის გაცნობიერება კულტურისა და კაცობრიობის პროგრეს-თან ერთად იზრდებოდა, თავად კულტურის პოლიტიკის ცნებამ კი საკაცობრიო ლექსიკაში მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიმკვიდრა ადგილი. კულტურის ზემნიშვნელობისადმი თანადროული დამოკიდებულების ილუსტრირებისათვის ფრიად ნიშვნეულია კულტურულოგის ფუძემდებელ, ამერიკელ ეთნოლოგ ლ. უაიტის აზრი: „კულტურა გალაქტიკათა გაზომვაზე, ატომის გახლეჩასა და სხვა აღმოჩენებზე გაცილებით მნიშვნელოვანია კაცობრიობის მომავლისათვის“ (Уайт 1997:147,148). სწორედ კაცობრიობის მომავალზე დაფიქრებამ, მეორე მსოფლიო ომის სავალალო შედეგებისა და შემდგომი პერიოდის გლობალური საფრთხეების, და, რაც მთავარია, ადამიანისა და ერის არსებობისათვის კულტურის მნიშვნელობის გადააზრების შედეგად იშვა შეხედულება კულტურის სფეროს მართვის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად კულტურის პოლიტიკის აღიარებისა. ეს მოხდა 1969 წელს, როცა UNESCO-ს ეგიდით გამოქვეყნდა დოკუმენტი – „კულტურის პოლიტიკა – ნინასწარი კვლევა“. მასში პირველად მოხდა საერთაშორისო სივრცეში მისი დეფინიცია: „კულტურის პოლიტიკა წამოადგენს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული საოპერაციო საქმიანობის პრინციპების, ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ინსტრუქციებისათვის“.

1 ჩემი სადისერტაციო კვლევის თემა – საქართველოს კულტურის პოლიტიკა და მისი განხორციელების ეფექტური ინსტიტუციური გზები.

და პროცედურების ერთობლიობას... კულტურული ღირებულებების მიხედვით, თითოეული წევრი-სახელმწიფო განსაზღვრავს კულტურის პოლიტიკას, აყალიბებს მიზნებს და აკეთებს არჩევანს¹ (Cultural Policy: a Preliminary Study 1969: 7). ამდენად, კულტურის პოლიტიკის საერთაშორისო დეფინიციაში ხაზი გაესვა და მის მიზნად განისაზღვრა ერის, სახელმწიფოს თვითმყოფადი კულტურული ღირებულებების თანახმიერი პოლიტიკის შექმნა. ნებისმიერი კულტურა თავადაა ღირებულებითი, აქსიოლოგიური სისტემა. ამასთან დაკავშირებით მოვიხმოთ ფილოსოფოს ა.კ. ყულიჯანიშვილის მოსაზრებაც: „კულტურა მხოლოდ შემოქმედებითი შრომის შედეგია, უბრალო შრომა ემსახურება ადამიანის ვიტალური მოთხოვნილებების დაკამაყოფილებას, ხოლო ე.ნ. კულტურული შრომის დროს ადამიანი ქმნის ღირებულებებს, ე.ი. აქ დომინირებს ღირებულებები“ (ყულიჯანიშვილი 2009:124). მიუხედავად იმისა, რომ კულტურის პოლიტიკა, ასე ვთქვათ, ახალი დროის მონაპოვარია, კულტურის ღირებულებები და, აქედან გამომდინარე, ამ სფეროს კოორდინირების საჭიროება კარგად ესმოდათ წარსულშიც. ამიტომ კულტურის სფეროს მართვის მსგავსი ქმედებანი (დღეს რომ კულტურის პოლიტიკას ვუწოდებთ) გაცილებით ადრეულია, ვიდრე კულტურის პოლიტიკის თანამედროვე გაგება. სახელმწიფოებში კულტურის სფეროს მართვის, ასე ვთქვათ, ჩანასახოვანი მექანიზმი ადრეც არსებობდა. თავდაპირველად, მას, ფორმაციული რეალობის შესატყვისად, ცენტრალიზებული ხასიათი ჰქონდა და სახელმწიფოს ინტერესებთან ერთად მონარქის პირადი მოსაზრებებით რეგულირდებოდა. ასე რომ, კულტურის პოლიტიკის დეკლარირებულად არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ წარსულში კულტურის სფეროში გარკვეული ხედვა საერთოდ არ იყო. ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების მქონე საქართველოც, ცხადია, ამ მხრივ ვერ იქნებოდა გამონაკლისი. ისტორიულად ქართული სახელმწიფოს მესვეურებს, დიდგვაროვან ქტიტორებს, საეკლესიო მოღვაწეებს გაცნობიერებული ჰქონდათ კულტურის სხვადასხვა სახის (მთარგმნელობითი და ორიგინალური სასულიერო და საერო ლიტერატურის, საგანმანათლებლო დაწესებულებების-გელათისა და იყალთოს აკადემიების, ქართული ხუროთმოძღვრების, ნაქარგობის, ჭედურობის, მონუმენტური მხატვრობისა და ა.შ.) კერების, ასევე ქრისტიანული რელიგიისა და საეკლესიო ინსტიტუტის როგორც იმ დროს სულიერებისა და კულტურის უმთავრესი ორიენტირის მორალურ-მატერიალური მხარდაჭერის მნიშვნელობა, რამეთუ ხშირი პოლიტიკური კატაკლიზმების გამო ისინი არა მხოლოდ სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის სიძლიერის გარანტად, არამედ სულიერების, ეროვნული ცნობიერების განმტკიცების, ერის გადარჩენისა და მისი იდენტობის შენარჩუნების ტოლფასადაც მიიჩნეოდა. ამის დასტურად მარტო ერთი ამონარიდის მოხმობაც იკმარებდა გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ (951 წ.), სადაც კარგად ჩანს მეფეთა,

¹ კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი მოგვიანებით, 2016 წელს, საქართველოშიც დამტკიცდა სახელმწიფო „კულტურის სტრატეგია-2025“.

დიდებულთა და ბერთა თანამოღვაწეობა მატერიალურ-სულიერი კულტურის ძეგლების შენების საქმეში. ერთ-ერთი დიდებული გაბრიელ დაფანჩული ასე მიმართავს ტაო-კლარჯეთში კულტურულ-სამონასტრო ცენტრის აღმშენებელ გრიგოლ ხანძთელს: „ან ჩვენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქვენ თანა არს სულიერი კეთილი და ესე შევზავნეთ ურთიერთას“, ანუ, ფაქტობრივად, მან განაცხადა, რომ საერო პირებს ევალდებულებათ კულტურის შემომქმედთა მატერიალურ-ფინანსური თანადგომა, უფრო სწორედ, თანამოღვაწეობა. ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფრაზის რეალიზებაა ქართული სახელმწიფოს მესვეურთა ქტიტორობის ხანგრძლივი ისტორიაც. ამიტომ ეს ფრაზა კულტურის სფეროს მართვის-კულტურის პოლიტიკის თავისებურ დეკლარირებადაც და კულტურის სულიერ მისიადაც შეიძლება ჩაითვალოს. გაბრიელ დაფანჩულის მოხმობილ სიტყვებში ჩანს იმის ნება-უნებური შეგნებაც, რომ კულტურასა და ამ სფეროს მართვას, ანუ კულტურის პოლიტიკას შორის ორგანული კორელაციური კავშირია. ეს აქსიომა აქსიომა დღესაც. ამიტომ სრულიად ლოგიკურია, რომ საქართველოს კულტურის პოლიტიკის მეცნიერებარმა ესკიზურად მოხაზოს (მხატვრის მსგავსად, რომელიც თავდაპირველად ესკიზს ქმნის) ქართული კულტურის ფსიქოლოგიური პორტრეტი, გამოკვეთოს პორტრეტირებულის მხოლოდ არსებითი ფსიქოლოგიური დეტალებინანგების, ჩვენებული ტერმინოლოგიით, მარკერ-მახასიათებლების ნაწილი, რის საშუალებასაც მოგვცემს ამ სტატიის რეგლამენტი. მათი მეშვეობით კი ცხადი გახადოს კულტურისა და მისი კულევის ორგანული კავშირი კულტურის პოლიტიკასა და მის იმპლემენტაციასთან.

ადამიანი, საზოგადოება როგორც ნინაისტორიულ, ისე ისტორიულ პერიოდში კულტურულ გარემოს ქმნიდა და მასშივე მყოფობდა, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კულტურის ნარმოშობასა და მასზე რეფლექსიას შორის დროის დიდი მონაკვეთია. ედ. კოდუას აზრით, კულტურის გააზრების სიძნელე იმის შედეგია, რომ კულტურის ანალიზი მეცნიერების სხვადასხვა დარგში დამკვიდრდა. აქედანაა კულტურის ცნებათა მრავალმნიშვნელოვნება. ჩვენ დავამატებდით, რომ არა მხოლოდ ამიტომ, არამედ, უწინარესად, მისი რთული ბუნების გამო კულტურის მართლაც მრავალი განსაზღვრება არსებობს: კულტურა (cultura) მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *colere*. ძვ.წ.-ის III-II საუკუნეებიდან და შემდგომ სხვადასხვა დროს კულტურა ნიშნავდა კულტივირებას, მოვლას, პატივისცემას, მფარველობას, სულის დამუშავებას, აღზრდას, ადამიანის სულიერი და ზნეობრივი განვითარების საშუალებას, კულტურად მიიჩნეოდა ის, რაც შექმნილი იყო ადამიანის მიერ შემოქმედებით-კულტურული შრომის, სხვანაირად, მისი კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად და ა.შ. გარდა ამისა, ედ. კოდუას მიაჩნია, რომ კულტურის საზრისის წვდომა და ცალსახა ინტერპრეტაცია თითქმის შეუძლებელია, რადგან კულტურა როგორც სულიერების გამოვლენა მკვლევრისთვის ძნელად მისაწვდომია (კოდუა 2001: 6, 7). თითქოს ნინაალმდეგობასთან გვაქვს საქმე: ერთი მხრივ, რაციონალური აზრი კულ-

ტურის, ასე ვთქვათ, მთელი სისრულით მოუხელთებლობის შესახებ და, მეორე მხრივ, მისი უკიდეგანობიდან და სიღრმიდან გამომდინარე, კულტურის მულტიხედვით, ინტეგრალურად, პოლისტურად შესწავლის მოცემულობა, რაც დღეს, გლობალიზაციისა და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ეპოქაში, უფრო მეტად და სწრაფად იქცა აუცილებლობად. კულტურა გახდა მულტიდისციპლინური შესწავლის საგანი, ჩამოყალიბდა ახალი ინტერდისციპლინური დარგებიც: კულტურის გეოგრაფია, სოციობიოლოგია, კულტურის ანთროპოლოგია, კულტურის ფსიქოლოგია, კროს-კულტურული ფსიქოლოგია (ის, შეკვეცილად რომ ვთქვათ, დაკავებულია კულტურათმორისი გამოკვლევებით, კულტურათა შედარებით) და სხვ. თავისი სირთულისა და მრავალფეროვანი მახასიათებლების გამო კულტურის, ისევე როგორც კულტურის პოლიტიკის კვლევისას ინტეგრალურ მიდგომას ეფუძნებიან, რაც გულისხმობს მომიჯნავე მეცნიერებათა სფეროებიდან მრავალგვარი მონაცემის, კონცეფციისა და მეთოდის გამოყენებას. მხოლოდ მიღებული შედეგების გათვალისწინებითაა შესაძლებელი თანამედროვე გლობალურ სამყაროში ეროვნული კულტურის დაცვა-განვითარება და თავად სფეროს უკეთ მართვაც. ამ ლოკალური თემის შეჯამებად რომ ვთქვათ, გამოდის, რომ კულტურის მრავალი რაკურსით შეცნობა ადამიანის (ერის) შეცნობაა და პირიქით. თუ დავუშვებთ ერისა და კულტურის სინონიმურობას, მაშინ კულტურული ღირებულებების ერთგვარ განსახოვნებად უნდა მივიჩნიოთ ამ სტატიის ობიექტი-ერის არსებითი ფსიქომახასიათებლები როგორც ინსტრუმენტები მისი კულტურის ფსიქოლოგიური ესკიზის შესაქმნელად. სანამ უშუალოდ ამ ესკიზის პირველ მონასმებს მოვნიშნავთ, ალვნიშნოთ, რომ ამისთვის უნდა გამოვიყენოთ კულტურის ფსიქოლოგიის მიღწევები ერის/ კულტურის კვლევისას. კულტურის ფსიქოლოგიამ – მეცნიერების ამ შედარებით ახალმა დარგმა, რომელიც, უპირველესად, ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის გადაკვეთაზე ჩამოყალიბდა, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მცირე სახელმწიფოებისა და ერების კულტურული „გადარჩენის“ თვალსაზრისით გლობალიზაციის დროს, როცა ხდება კულტურათა ასიმილაცია, მრავალი კულტურული ჯგუფის თავისებურებების ნიველირება და გაქრობა, განსაკუთრებით მცირე ერებისთვის (ცხადია, ჩვენთვისაც) დამახასიათებელი ისეთი სოციო-კულტურული თავისებურებებისა, რომლებიც არაა მატერიალური და არაა დაფიქსირებული წერილობითი ან რაიმე სხვა ფორმით, მაგ., ოჯახური, მეზობლური, მეგობრული, გენდერული, მცირე ჯგუფების ურთიერთობების ფორმები და მათი სხვა კულტურული მახასიათებლები. იმის გათვალისწინებით, რომ ფსიქიკურის გარეშე კულტურა არ არსებობს, კულტურის ფსიქოლოგიის საგანი არის კულტურისა და ფსიქიკის კავშირის დადგენა; კულტურის ფენომენების ფსიქოლოგიური ანალიზი; ეთნიკური ერთობის ნიშნით გაერთიანებული ჯგუფების კულტურათა ფსიქოლოგიის კვლევა. კულტურის ფსიქოლოგიაში ხშირად სვამენ კითხვას: რა განსხვავებაა სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს

შორის და რა განაპირობებს ამ განსხვავებას? ამ კითხვაზე პასუხის გა-საცემად ღრმა სამეცნიერო დისკუსში, ცხადია, ვერ შევალთ, მაგრამ და-თანხმებით გავიმეორებთ კულტურის ფიქოლოგიაში მიღებულ აზრს, რომ, ვიწრო გაგებით, ეს შესაძლებელია ენით, რელიგიით, წეს-ჩვეულებებით, ცხოვრების სტილით, სამზარეულოთი, ხელოვნებით, ისტორიით, მართვის სისტემით, ხასიათის გარკვეული ნიშნებითა და სხვა მახასიათებლებით, რომლებითაც განსხვავდება სხვადასხვა ხალხი ერთმანეთისაგან. ფართო გაგებით კი სხვადასხვა კულტურა არსებითი ღირებულებებით სხვაობს (<https://azrovnebisakademia.ge/rith-ganskhvavdeba-skhvadaskhva-qveqhnis-kultura-erthmanethisgan-phsiqologi-gaga-nizharadze/>).

ლოგიკურად იბადება კითხვა, როგორ ვიკვლიოთ კულტურები, თუ ისინი და, ცხადია, მათი მატარებელი ხალხები განსხვავდება ღირებულები-თი სისტემით? ამ შემთხვევაშიც, რომ იტყვიან, დავესესხებით ფიქოლოგებს: სხვადასხვა კულტურა სამყაროს სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ახდენს. კულტურები მჭიდროდ არის დაკავშირებული ფასეულობებთან, მსოფლ-მხედველობასთან, ცხოვრების წესთან, კულტურები განსხვავდება ან ერთ-მანეთს ჰგავს პიროვნებათშორისი ურთიერთობის ხასიათით, დამოკიდებუ-ლებით დროისა და სივრცისადმი, ინდივიდისა და ჯგუფისადმი, პირადი და ჯგუფური პასუხისმგებლობისადმი, ტრადიციისა და სიახლისადმი, ძა-ლაუფლებისადმი, ენისადმი, საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლი-სადმი... ამის გამო კულტურათა კვლევაში განსაკუთრებული პრობლემაა უნივერსალური კანონზომიერებისა და კულტურულად სპეციფიკურის ურ-თიერთმიმართება. კვლევისას ეყრდნობიან ორგვარ მიდგომას: ეთიც-ურსა (etic) და ემიც-ურს (emic). etic-ური გულისხმობს კულტურათა შესწავლას უნივერსალური თვალსაზრისით, ანუ ის ე.წ. გარე დამკვირვებლის პოზიცი-იდან ყველა კულტურისთვის საერთოს შესწავლა; emic-ური მიდგომით კულტურა შეისწავლება სპეციფიკური თვალსაზრისით. ამის შესაბამისად გამოიკვეთა ძირითადი მიმართულება, რომლის მიხედვით ბაზისური პრო-ცესები და პრინციპები უნივერსალურია, ხოლო პიროვნული ატრიბუტები, ქცევითი მოდელები, ნორმები, განწყობები და ღირებულებები – ინდიგენურ (ანუ რეგიონულ) საფუძველზეა. ორივე მიდგომა ტრადიციულად აპრობირე-ბულია. თუმცა, განსაკუთრებით მახვილება ყურადღება emic-ურ მიდგომა-სა და ეთნომეთოდოლოგიაზე, რასაც ინდიგენიზაციას, ანუ რეგიონულობას უწოდებენ. ეს სხვანაირადაც ითქმის, კულტურას უნდა შევხედოთ მისივე მკვიდრის თვალით (სურმანიძე 2001:10). ამ შემთხვევაში ითვალისწინებენ, რომ ნებისმიერი მკვლევარი თავისი კულტურის პროდუქტია. ამიტომ ზო-გიერთი დასავლური კონცეპტი შეიძლება შეუსაბამო აღმოჩნდეს ეროვნული, ჩვენს შემთხვევაში, ქართული კულტურის კვლევისას მის უნივერსალურთან ერთად ეროვნული, სპეციფიკური ბუნებისა და მახასიათებლების გამო. საკვლევ მეთოდებთან დაკავშირებით დამატებით ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ეტაპზე მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საუკეთესო

შედეგები შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ კომპლექსური etic - emic - etic მიდგომებით, როცა გამოიყენება etic-კატეგორიები და emic-საშუალებები.

კულტურა, როგორც აღინიშნა, სახიერდება თავის სხვადასხვა პლასტისა და კულტურის წარმომადგენელთა ქცევაში. აქედან გამომდინარე, მრავალი ცდა არსებობს მათში კულტურის სპეციფიკური მახასიათებლების პოვნისა, ეძიებენ მათში ღერძულს, ანუ კულტურის მარკერ-მახასიათებლებს. ჰოლანდიელი მეცნიერის, გ. ჰოფსტედეს 1980 წელს კულტურათა ღირებულებითი ორიენტაციების ფართომასშტაბიანმა კვლევამ ჩაუყარა საფუძველი ახალ ერას კულტურათა ემპირიულ შესწავლაში. კულტურის კვლევის თანამედროვე ეტაპზე სხვადასხვა ავტორთა მიერ შემოთავაზებულია კულტურის ძირითადი განზომილებები, რომელთა მახასიათებლებად მიიჩნევა: 1. კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმი – ასახავს ინდივიდსა და ჯგუფს შორის ურთიერთმიმართებას; 2. ტოლერანტობის ხარისხი; 3. ძალაუფლებრივი დისტანცია – ასახავს საზოგადოების ე.წ. დაბალი ფენების მიმართებას სოციალური უთანასწორობისადმი; 4. გაურკვევლობისგან გაქცევა (თავის არიდება) – ესაა ადამიანთა ემოციური დამოკიდებულება იმ სიტუაციებისადმი, რომელთაც ძნელად პროგნოზირებადად მიიჩნევენ. ჩვეულებრივ, ასეთ კულტურებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დადგენილ ნორმებს, ნესებსა და რიტუალებს; 5. მასაკულტობა-ფემინურობა – გულისხმობს სქესთა სოციალური დიფერენცირებულობის ხარისხს; 6. ადამიანის ბუნების შეფასება როგორც კარგის, ცუდის ან შერეულის და ა.შ. (სურმანიდე 2001: 81,82). ცხადია, გამოყოფენ სხვა მახასიათებლებსაც, მაგრამ ჩვენ სტატიის რეგლამენტის გამო ყურადღებას შევაჩერებთ პირველ ორ მახასიათებელზე. რაც შეეხება, კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ კულტურათა კლასიფიცირებას, სწორედ გ. ჰოფსტედემ ჩამოაყალიბა პირველად ეს ცნებები, რომლებიც შემდგომ სხვა მკვლევრებმა განავრცეს და უფრო დააზუსტეს. 6. ჩიქოვანსაც ისინი მიაჩნია ერთ-ერთ წამყვან ფსიქოლოგიურ მახასიათებლებად, რომელთა მეშვეობით განისაღვრება კულტურის სახე (ჩიქოვანი 2005:179). მოვიხმოთ ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ კულტურათა განმარტებანი მკვლევრების-ჰოფსტედების მიხედვით: „პირველი ისეთი საზოგადოების კულტურაა, რომელშიც ინდივიდებს შორის კავშირები სუსტია. ყველა თავისთვის ან ოჯახის უახლოეს წევრებს უვლის. საპირისპიროდ კოლექტივიზმი ახასიათებს ისეთ საზოგადოებას, სადაც ადამიანები ძლიერ შეკრულ ჯგუფებში ერთიანდებიან. მუდმივი ერთგულების სანაცვლოდ შიდა ჯგუფები პირვენებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში იცავენ“ (ჰოფსტედე 2011: 75). დაგამატებდით: ინდივიდუალისტურ კულტურებში საზოგადოების ძირითადი ერთეულია ინდივიდი. ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი ჯგუფი. მისი ცხოვრების მთავარი რეგულატორი კი კანონია, ასევე რელიგია; თანასწორობისა და თავისუფლების მაღალი ხარისხი; ინდივიდუალისტური კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებლები და ღირებულებებია: დამოუკიდებლობა, საკუთარი აზრის გამოხატვა, კარიერული მიზნები. ინდივიდუალიზმის ინ-

დექსი ყველაზე მაღალია ანგლო-საქსურ, ჩრდილო და ცენტრალურევროპულ, ჩრდილოამერიკულ, ავსტრალიურ კულტურებში. კოლექტივისტურ კულტურებში კი ჯგუფის ინტერესები პრევალირებს ინდივიდუალურზე. კოლექტივიზმი ადამიანს განიხილავს არა როგორც ცალკეულ ინდივიდს, არამედ როგორც ჯგუფის წევრს. მის ძირითად ღირებულებას ჰარმონია წარმოადგენს, რომელიც მიიღწევა არა პირადი არამედ ჯგუფისა და სოციუმის ინტერესების გათვალისწინებით. აღმოსავლური კულტურები, უმეტესწილად, კოლექტივისტურია. რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ქართული კულტურა? კულტურის მკვლევარ ქართველ ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ქართული კულტურა მცირე ჯგუფებზე ორიენტირებული კლასიკური კოლექტივისტური კულტურაა. „აქ ძირითადი სოციალური ერთეულია ნათესაობა, სამეგობრო, სამეზობლო... და ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავს სწორედ ამ ჯგუფებში არსებული ნორმები“ (ნიუარაძე 2003: 24). ამის ძირითად მიზეზად სახელდება საუკუნეების განმავლობაში საქართველოს დამოკიდებულება უცხო ქვეყნებზე, როცა საკუთარი ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში მოსახლეობა, ერი ვერ იღებდა მონაწილეობას და ადამიანურ ურთიერთობათა ლოკაცია ვიწროვდებოდა, ინდივიდის პასუხისმგებლობის ხარისხი მხოლოდ მცირე კოლექტივით შემოიფარგლებოდა და არ ვრცელდებოდა ერსა და სახელმწიფოზე (ნიუარაძე 2001: 7). იმავე მეცნიერს მიაჩნია, რომ საქართველოში მცირე ჯგუფი არა მარტო ძირითადი, არამედ თვითკმარია, ანუ შესაძლებელია მცირე ჯგუფის ფარგლებშივე ძირითადი სოციალური მოთხოვნილების (ურთიერთობა, ძალაუფლება, პრესტიჟი, წარმატება...) დაკმაყოფილება. შედეგად ყალიბდება ქართული კულტურისათვის ტიპური თვისებები: კომპეტენტურობა ურთიერთობებში, სტუმართმოყვარეობა, კონსერვატორიზმი, თავნებობა, საჯარო ქცევის ჩვევა-უნარების დეფიციტი და ა.შ. (ნიუარაძე 2003: 24, 32). თუმცა სხვაგან იგივე ავტორი წერს, რომ უკანასკნელ დროს შეიმჩნევა ცვლილებები, თანამედროვე მოთხოვნებისადმი ადაპტირება, რაც ინდივიდუალისტური საზოგადოებისთვისაა სახასიათო, მაგ., ქალის როლის გაზრდა საზოგადოებრივ ასპარეზზე; პროფესიული უნარ-ჩვევებისა და არა სანათესაოსადმი კუთვნილების მიხედვით დასაქმების მოთხოვნა; მისწრაფება ცოდნის ხარისხის გაზრდისადმი. აღნიშნულია ისიც, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოს საზოგადოებაში ძალიან სერიოზულ ცვლილებებს აქვს ადგილი, უმთავრესად, „დასავლეთის მიმართულებით“, რასაც რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს – საბაზრო ეკონომიკა, ყველა ხელისუფლების მიერ გაცხადებული პროდასავლური გეზი და, ყოველივე ამის საფუძველი – ისტორიული, თუმცა ზოგჯერ არცთუ კარგად გაცნობიერებული, ლტოლვა ევროპისაკენ და სხვ. (<http://sainteresoadamianebi.1tv.ge/?id=91>; ნიუარაძე 2015: 5).

გ. ნიუარაძემ ქართული კულტურის დახასიათება სხვა ფსიქოლოგიური მახასიათებლითაც სცადა. კერძოდ, მან გამოიყენა გერმანელი ფსიქიატრის, ერ. კრემერის (1888-1964), პიროვნებათა ფსიქიატრიული კლასიფიკაცია,

რომლებიც გადატანილ იქნა კულტურებზე. მის მიხედვით, ყოველ კულტურაში მიღებული ნორმები და ფასეულობები მიღრეკილია პარანოიდული, კატატონიური თუ ისტეროიდული მიმართულებით. მისი აზრით, ქართული კულტურა ისტეროიდული კულტურის ტიპია. მისთვის სახასიათოა ემოციის ინტენსიურობა. ქართული კულტურის ისტეროიდული ხასიათის ყველაზე მკაფიო გამოხატულებად კი მიაჩნია მისი ბაზური რიტუალები – პანაშვიდი და სუფრა (წიუარაძე 2000: 12).

კულტურის ტრანსლირების დიაპაზონი უკიდევანოდ ფართოა – კრებითად რომ ვთქვათ, იგი ფიქსირდება მატერიალურსა და არამატერიალურ მოცემულობებში. კულტურას განსაზღვრავენ როგორც დასწავლილ ქცევასაც. იგი მოიცავს ყველა სახის ჩვევად გარდასახულ ქცევას, მოქმედებას, იდეას, აზრს, ლირებულებას, ფასეულობას, რომელთაც ჩვენ ვახორციელებთ, ვეთანხმებით, ვიზიარებთ და მნიშვნელობას ვანიჭებთ როგორც ორგანიზებული საზოგადოების, კოლექტივის, ოჯახის ნევრები. კულტურა ქცევის უძლიერესი დეტერმინანტიცაა და სუბიექტური ცოდნისა და ინტერპრეტაციის მნიშვნელოვანი წყაროც. სოციალურ-კულტურული ინდივიდი და ჯგუფი წარმოადგენს ანალიზის ერთეულს. ემპირიული ანალიზის ერთ-ერთი გზაა ინდივიდისა თუ სოცჯგუფის ქცევაზე დაკვირვება და შედეგების მეცნიერული ტრანსლირება. ქცევის ფსიქოლოგის კვლევასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას თუნდაც ორიოდე სიტყვა ფრანგი მეცნიერის, გ. ლე ბონის (1841-1931) შესახებ, რომელმაც შექმნა „ერების ფსიქოლოგია“ (1895 წ.). ის პირველი ნაშრომია ქცევის მეცნიერელი ახსნისა. ამ ნაშრომთან ერთად მის სხვა წიგნებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მის მეცნიერულ პოსტულატებს სწავლობდნენ და აკრიტიკებდნენ კიდეც, მაგ., ფრონტი თავის წიგნში „მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი“. ლე ბონის მიხედვით, ცივილიზაციის საფუძველს ერის სული წარმოადგენს; მას მიაჩნია, რომ ყოველი ერი მდგრად ფსიქიკურ ორგანიზაციას ფლობს. მისი მორალური და ინტელექტუალური თავისებურებანი, რომელთა ერთობლიობა ერის სულს გამოხატავს, წარმოადგენს მისი წარსულის სინთეზს, მის წინაპართა მემკვიდრეობასა და მისი ქცევის მიზეზს; ერების ფსიქიკური წყობიდან გამომდინარეობს მათი ცოდნა სამყაროსა და ცხოვრების შესახებ, მათი ქცევა და ისტორიაც. მიუხედავად იმისა, რომ იგი ერების ფსიქოლოგიურ თვისებებს მდგრადად მიიჩნევს, მაინც თვლის, რომ არის მრავალი ფაქტორი, რომლებსაც ფსიქოლოგიური თვისებების შეცვლა შეუძლიათ. ესენია: მოთხოვნილებები, ბრძოლა არსებობისთვის, გარკვეული გარემოს მოქმედება, აღზრდა, აღმსარებლობა და სხვ. (ლე ბონი 2021: 6, 17, 118). ითვლება, რომ ლე ბონის შეხედულებანი ქცევის ფსიქოლოგიაზე აქტუალობას არ კარგავს თანამედროვე მეცნიერული კვლევებისთვისაც. ქცევით გამოხატული ერის კულტურის დემონსტრირების თვალსაზრისით საინტერესოა ქართველი მკითხველისთვის კარგად ცნობილი დახასიათება ქართველი ერის ქცევა/ხასიათისა ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1757) მიერ

თავისი ნაშრომის ერთ კარში – „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“. ეს, ფაქტობრივად, ქართველი ერის ფსიქოლოგიური დახასიათებაა. მოვიხმობთ მას ფრაგმენტულად: „კაცნი ამის ქვეყნისანი არიან... მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენი... ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი... სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან არარაი შეიჭირვიან; უხუნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალავენ, საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი, სხავლის მოყუარენი, ურთიერთს მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილბოროტზედ ადრე მიმდრევნი, თავხედნი, დიდების მოყუარენი, თუალმგებნი მოთაკილენი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 45). ქართველი ერის ვახუშტისეული დახასიათება შეიძლება გარკვეულად არათანამედროვე და ნაკლებ მეცნიერულია, მაგრამ იგი ერის ქცევითი მოდელების, პიროვნულ-ეროვნულ ატრიბუტების, ფსიქოლოგიური მახასიათებლების (ძირითადად დადგებითის) განსაზღვრის ნიმუშია. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიაში ლოგიკურია ადამიანის ქცევის უნივერსალიების აღმოჩენის შესაძლებლობის დაშვება, მიუხედავად იმისა, რომ კულტურათა შორის უნივერსალურ პროცესთა განვითარებისა და გამოვლინების ფართო სპეცირი შეიძლება არსებობდეს, ვახუშტისეული ეს „ანალიზი“ ნებით თუ უნებურად უფრო ქართველის ქცევის უნივერსალიების გამოკვეთის პირველ სისტემატიზებულ მცდელობად უნდა ჩაითვალოს, და არა მარტივ ემპირიულ დაკვირვებად.

ქართული კულტურის ფსიქოლოგიური რაობის განსაზღვრის მცდელობაა მკვლევარ კ. კაპანელის (1889-1952) ძირითადი ნაშრომებიც. იგი, უცხოეთში განსწავლული, კულტურფსიქოლოგიური განსაზღვრებანი რომ მოვიშველიოთ, დასავლურ ინდივიდუალისტურ კულტურას ნაზიარები მეცნიერი, კოლექტივისტური ქართული კულტურის დახასიათებას ცდილობს ძირითადად ქართული ლიტერატურისა და მისი პერსონაჟების მეშვეობით. როგორც მისი ერთი ნაშრომის ნინასიტყვაობაში აღნიშნავს ედ. კოდუა, „მისი ამოცანაა, აჩვენოს, როგორ აირეკლება და გამოისახება ეროვნული სული თუ ეროვნული გონი მხატვრულ სახეებში, ძირითადად ლიტერატურულ შემოქმედებაში, როგორია ხალხის სულისა და გონის ლიტერატურული სახება...“ (კაპანელი 1996: 5). იგი ფორმულებსაც აყალიბებს: „ქართული ლიტერატურა ქართული კულტურის რეფლექსოლოგიაა“ ან „ქართული ლიტერატურა ქართული სულის გენეტიკური ფსიქოლოგიაა“. კ. კაპანელი ძირითადად ოპერირებს არა კულტურის, არამედ სულის ცნებით. ამიტომაც უნიდებს თავის ერთ-ერთ ნიგნს „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, თუმცა ცალკე ნარკვევიც აქვს „ქართული კულტურის სული“, სადაც ასევე სულის ცნება დომინირებს. კულტურა, გარდასაზული ქცევაში, მოქმედება-ში, ხასიათში კ. კაპანელის სამეცნიერო ინტერესის საგანიც ხდება. მისი პოზიცია ქართველის ფსიქოლოგიური მახასიათებლებისადმი მკვეთრად კრიტიკულია თავის ნარკვევში „ქართული კულტურის სული“ იგი ცალკე

განსჯის საგნად აქცევს „ქართულ ტიპს“, ანუ იგი, ფაქტობრივად, ქცევის უნივერსალიების ძიების მცდელობით მკითხველს წარუდგენს, მისეული წარმოდგენით, ქართველის განზოგადებულ სახეს-ტიპს, სადაც მას ქართველის, როგორც თავად წერს, ეროვნულ-ისტორიულ თვისებებად მიაჩნია ისეთი ნეგატიური თვისებები, როგორებიცაა ღალატი, განცალკევებულობა, ურთიერდაუნდობლობა, ამპარტავნება, პირადი ინტერესების პრიორიტეტულობა საზოგადოებრივზე, შური, მუხანათობა, ვერგაგობა და ა.შ. კ. კაპანელი ასკვნის, რომ ქართველთა ქცევის ამ ფსიქოლოგიურმა მახასიათებლებმა გარკვეულად განსაზღვრა ჩვენი ისტორიისა და კულტურის სპორადული, არასისტემური ხასიათი (კაპანელი 1996: 7, 26). აუცილებლად უნდა ვასხენოთ, კ. კაპანელის სახელდებით, მისი ორგანოტროპული შეხედულებაც, რომლის თანახმად, სინამდვილე განსაზღვრავს სულიერ ფენომენებს (ანუ კულტურის სახეებს – ვ.შ.), ასევე სულიერი ფენომენები-სინამდვილეს, რაც თანამედროვე კულტურფსიქოლოგების ზემოთ მოხმობილ შეხედულებათა გარკვეული თანაფარდია. კ. კაპანელის ფორმულებად ჩამოყალიბებული აზრები ლიტერატურასა და ფსიქოლოგიას შორის გენეტიკური კავშირის შესახებ, ცხადია, ლიტერატურის გარდა კულტურის სხვა პლასტებსაც ეხება, მაგრამ მისი ძირითადი ამოცანაა, როგორც ვთქვით, ქართული ლიტერატურის არაერთი ძეგლის, პერსონაჟის დახასიათება და მათი მეშვეობით ქართული სულის/კულტურის „კვალიფიცირება“, ფსიქოლოგიის გადმოცემა. იგი ერთგან წერს, რომ „ქართული სული ისტერიულია (გავიხსენოთ გ. ნიუარაძის შეხედულება, რომ ქართული კულტურა ისტეროიდული კულტურის ტიპია) და პათეტიური... ქართველის ფსიქოლოგიურად უონგლიორია და აკრობატი... ჩვენი კულტურის პროვინციალიზმი დამთავრდა ლოგიკურად პერსონალიზმით... სოციალური არსებობისა და თვითშენახვის ინსტიქტი ჩვენში არ მოქმედებს. ქართველი პირადი ინტერესების თვალსაზრისით უყურებს ყოველგვარ საზოგადო საქმეს, ყოველგვარ ისტორიულ მოძრაობას“. ამიტომ თვლის, რომ „ქართული კულტურისთვის დამახასიათებელია ირაციონალიზმი“, რასაც არადასავლურ ნიშნად მიჩნევს (კაპანელი 1996: 327, 328). ერთი შეხედვით, თითქოს წინააღმდეგობაა კ. კაპანელის მიერ პერსონალისტურად და მაღლა მცირე კოლექტივისტურად მიჩნეულ ქართულ კულტურას შორის, თუმცა, აქ, ჩვენი აზრით, ფაქტობრივად, შინაარსობრივი ერთგვარობაა, მხოლოდ „ტერმინოლოგიურ“ სხვაობასთან გვაქვს საქმე. ერთსაც ვიტყვით, მისი კრიტიკული მოსაზრებანი ქართველისთვის ტიპურ ფსიქოულტურულ მახასიათებლებზე დღეს გადასახედია, თუმცა მისი სამეცნიერო მოსაზრებანი საინტერესო და საგულისხმოა ქართული კულტურის გენეზისის კვლევის თვალსაზრისით.

მეორე ქართველი მეცნიერი გ. ასათიანიც (1928-1982) ლიტერატურისა და ხალხური ნაწარმოებების მეშვეობით ცდილობს, გაარკვიოს როგორც თავად აღნიშნავს, ქართული ხასიათი და ესთეტიკური ბუნება. შევჩერდებით მის მხოლოდ ერთ პოსტულატზე: უპირველესად, იგი თვლის, რომ ქართული

კულტურა არაა აღმოსავლურისა და დასავლურის მარტივი ჯამი, არამედ მათი სინთეზია. ხაზს უსვამდა, რომ ქართულ კულტურაში სხვადასხვა შენაკადის არსებობა არ ნიშნავდა მის ეკლექტიზმს, პირიქით, იგი „ბუნებრივად ამთლიანებს თავის წიაღში არა მხოლოდ მონათესავე ნაკადებს, არამედ ზოგიერთ საპირისპირო... მდინარებასაც“ (ასათიანი 1982: 11, 14). ამის ილუსტრირებას ახდენს ზოგიერთი ქართველი პოეტის შემოქმედების ზოგადი დახასიათებით და ასკვინის, რომ სინთეზურობის შედეგად ზოგადად ქართული კულტურის თვითმყოფადი ბუნების შესაცნობად საჭირო იქნებოდა ივ. ჯავახიშვილის მასშტაბის მეცნიერ-ისტორიკოსის, ფილოსოფოსის, სოციოლოგის, ანთროპოლოგის, ეთნოგრაფის, ფინქოლოგის, ლინგვისტის, ხელოვნებათმცოდნისა და ლიტერატურათმცოდნის ერთობლივი შრომა (ასათიანი 1982: 9). აქვე შევნიშნოთ, რომ ქართულ კულტურაში აღმოსავლურ-დასავლური კულტურის „ელემენტთა“ თანაარსებობა მეცნიერთა განსჯის საგანი მრავალჯერ იქცა. მკვლევართა მიერ აქცენტირება ხდება, რომ ამის უმთავრესი მიზეზია საქართველოს მდებარეობა კულტურათა სასაზღვრო ზონაში. თ. გამყრელიძეც გამოკვეთს სწორედ გეოგრაფიულ ფაქტორს, კერძოდ, საქართველოს მდებარეობას როგორც კონტინენტის აზიური და ევროპული ნაწილების გამაერთიანებელი რეგიონისა, და რაც ჩვენთვისაა საგულისხმო, როგორც განმაპირობებელს ქართული კულტურის სახის ფორმირებისა, რომელიც, მისი აზრით, არ განეკუთვნება არც დასავლურსა და არც აღმოსავლურ კულტურებს. არამედ იგი ამ კულტურათა „სიმბიოზის, სინთეზის, შერევისა და შერწყმის შედეგია“ (გამყრელიძე 2001: 5,6). მართლაც, დღეს სადაც არაა, რომ ისტორიულად ცივილიზაცია-კულტურათა მიჯნაზე-ზღვარზე საქართველოს ამგვარმა გეოგრაფიულმა ლოკაციამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის განსაკუთრებული სახის ჩამოყალიბებაში. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში მეცნიერთა ყურადღების ცენტრში სულ უფრო მეტად ექცევა ზღვრული პროცესები კულტურათა, ხალხებსა და ქვეყნებს შორის, რაც ამ დროს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაცია-ინტეგრაციასთან ერთად ლოკალიზაციის პროცესებმა და მისმა ნეგატიურმა შედეგებმა განაპირობა. საზღვრულად ითვლება ის სივრცეები, სადაც ეთნიკური, კონფესიური, გეოპოლიტიკური, კულტურულ-ისტორიული და სხვა პროცესები იყრის თავს, ურთიერთკვეთს და თანაარსებობს. საქართველო კი (და, ცხადია, არა მხოლოდ ის) ისტორიულად ასეთი გეოპოლიტიკური და კულტურული ლოკაცია იყო. ამიტომ ქართულ კულტურას სავსებით შეიძლება მიესადაგოს დღეს ფართოდ გამოყენებული სასაზღვრო კულტურის ცნება. ძალზე ნიშანდობლივად მიგვაჩნია სასაზღვრო კულტურის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ერთი მოსაზრება, რომ ფართო გაებით კულტურა შეიძლება არსებობდეს და ვითარდებოდეს მხოლოდ კულტურათა საზღვარზე, სხვა კულტურებთან თანაარსებობითა და მიმართებით (Библер 1991: 286). ჩვენც ვთვლით, რომ კულტურათა და ცივილიზაციათა საკონტაქტო ზონაში

ქართული კულტურის არსებობის, ანუ მონაცემებით ხან აღმოსავლეთისა (ირანი, არაბული სამყარო, თურქეთი) და ხან დასავლეთის (რომი, ბიზანტია, რუსეთი, ევროპა) გავლენის ქვეშ მოქცევის გამო ქართულ კულტურაში ხან დასავლური მახასიათებლები სფარბობდა, ხან-აღმოსავლური. ამასვე მიუთითებს ნ. ჩიქოვანი, როცა წერს: „ჩვენს კულტურაში „დაილექა“ როგორც ერთის, ისე მეორის განმასხვავებელი ნიშნები, გამომუშავდა კიდევ მესამე – ორივესგან განმასხვავებელი თვისებები“ (ჩიქოვანი 2005: 109, 111-121). აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი, რომ ქართული კულტურის „სინთეზურობის“ ამლიარებელ მკვლევართა მხრიდან აღინიშნა ის არა მხოლოდ როგორც ფაქტი, მოცემულობა, არამედ ქვეყნის ისტორიული ძნელბედობისას მისი ერთგვარი გადამრჩენიც. კ. გამსახურდიაც თვლის, რომ ქართული კულტურის ეს ორბუნებოვნება, სინთეზი, „დუალიზმი ჩვენი სულისა... უებარ მალამოდ ეწამლა ჩვენსავე ეროვნულ არსებობას“ (გამსახურდია 1976: 149). მიჩნეულია, რომ ქართული კულტურის ამ მარგინალურმა მდგომარეობამ დასავლეთსა და აღმოსავლეთ შორის, ანუ იმან, რომ იგი არც დასავლური და არც აღმოსავლური კულტურის ტიპია, შეარბილა კულტურული გაორებისა და საკუთარი სახის დაკარგვის საფრთხე ორივე ამ სამყაროსთან ურთიერთობაში. „საქართველოს მდებარეობამ ჩამოაყალიბა ერთგვარი ადაპტაციის მექანიზმი და აღმოსავლეთქრისტიანულბიზანტიურთან, მუსლიმურსა და რუსულ მართმადიდებლურ სამყაროებთან კონტაქტის დროს ქართულმა კულტურამ შეძლო ადეკვატური პასუხის გაცემა და, ამ მხრივ შესაძლო გამოწვევების მიუხედავად, შეინარჩუნა ქართული კულტურის არსებითი ტიპოლოგიური მახასიათებლები“ (ჩიქოვანი 2005: 160). მეცნიერთა ზემოთ მოხმობილი შეხედულებანი სრულ უფლებას გვაძლევს, რომ საქართველოს ისტორიული გზის სპეციფიკის გამო დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინთეზირება და მისი გარდაქმნა ამ სინთეზირებული კულტურის მდგრად სახედ მივიჩნიოთ მის მახასიათებლად. თუმცა, განსაზღვრება – დასავლური და აღმოსავლური კულტურები, ასევე მათი ქართულ კულტურაზე გავლენის ხარისხის სამეცნიერო კვლევა ჯერ არ დასრულებულა, ის უნდა გაგრძელდეს, ისევე როგორც ეროვნული კულტურისა და მისი პოლიტიკის ჰოლისტური კვლევა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცნებებთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საინტერესოა ფსიქოლოგ გ. ნიუარაძის ერთი მოსაზრების მოხმობა. იგი თვლის, რომ კულტურული თვალსაზრისით ცნებები – ევროპა და აზია, აღმოსავლეთი-დასავლეთი ძალიან ზოგადია და პირობითი. ამ შემთხვევაში მთავარია არა კულტურული, არამედ გეოგრაფიული ფაქტორი: მეცნიერული გამოკვლევები აჩვენებენ, რომ ზოგიერთი ლირებულებები, შეხედულებები, ქცევითი სტერეოტიპები ევროპულ კულტურებში გვხვდება უფრო ხშირად ან სხვა ხარისხით, ვიდრე აზიურში და პირიქით. მაგალითად მას მოჰყავს საქართველოს მოხსენიება ევრაზიულ ქვეყნად და რამდენიმე ფართომასშტაბიან კროს-კულტურულ გამოკვლევაში საქართველოს კულტურული პროფილის განსაზღვრა ყველა-

ზე „დასავლურად“ აზიურ (მაგალითად, ისეთი მახასიათებლებით როგორიცაა ინდივიდუალიზმი, რაციონალობა, გენდერული თანასწორობა და სხვ.) და ყველაზე „აღმოსავლურად“ – ევროპის ქვეყნებს შორის, (ნიუარაძე 2015 :25).

მაღლა აღინიშნა, რომ ქართული კულტურის „ორბუნებოვნება“, „დუალიზმი“ მიჩნეულ იქნა მისი გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებად. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენება კიდევ ერთი მოსაზრება, მაგრამ მას მისი ავტორი, კ. კაპანელი, სულ სხვა რაკურსით წარმოგვიდგენს. იგი წერს: „ჩვენი ეროვნული კულტურის საუკეთესო წუთები ეპიზოდური ხასიათისაა. სისტემური ხასიათი ჩვენს ცივილიზაციას არა აქვს. აღმოსავლეთის ურდოები საუკუნეების განმავლობაში მოსვენებას არ გვაძლევდნენ... ვერც დავით ალმაშენებლის გამჭრიახობამ, ვერც თამარ მეფის ელვარებამ ვერ შექმნეს სისტემა ხანგრძლივი და შეუწყვეტელი ეროვნული კულტურისა... რაკი საქართველო არ წარმოადგენდა კულტურულ-ცივილიზაციურ ერთეულს, რაკი საქართველოში არ არსებობდა ერთი ცენტრი ეროვნული კულტურისა, ჩვენი მტრები ჩვენს სამშობლოში შემოსვლით ბევრს ვერაფერს გვავნებდნენ: მართალია, ერთ კუთხეს აოხრებდნენ, მაგრამ მეორე კუთხეში თითქმის ნორმალურად მიმდინარეობდა კულტურულ-ისტორიული მუშაობა... ერთ ქმნიდა ცივილიზაციურ ლირებულებებს. სწორედ ამან გადაარჩინა საქართველო განადგურებას, დაღუპვას. წარსულში რომ მომხდარიყო სრული ცენტრალიზაცია ჩვენი კულტურისა, ჩვენს რასობრივ-ეროვნულ არსებობას ბოლო მოეღებოდა, ისევე როგორც მოეღო ბოლო ასურელებისა და ელინების არსებობას... ამგვარად ჩვენს კულტურულ კუთხურობას ჰქონდა დადებითი ხასიათი“ (კაპანელი 1996: 324). კ. კაპანელის ეს შეხედულება (ქართველის მისეული კრიტიკულად დახასიათებისაგან განსხვავებით) საგულისხმოდ და მეცნიერულად მისაღებად მიგვაჩინა, თუმცა მას მეტი სამეცნიერო არგუმენტაცია სჭირდება.

საქართველო ეთნოგრაფიული მრავალფეროვნებითაც ხასიათდება, ცხადია, ეს განაპირობებს, თუ ხელოვნური არ იქნება ჩვენი ფორმულირება, მის მიკროკულტურათა სხვადასხვაობას. საქართველოს სხვადასხვა მხარის – აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს, ასევე ბარისა და მთის განსხვავებულმა გეოგრაფიულმა, ლანდშაფტურმა, კლიმატურმა და ისტორიულმა რეალობამ განსაზღვრა ცხოვრების წესის მრავალფეროვნება. ეს კი არსებითად აისახა: კოსტიუმში, სამზარეულოში, ყოფა-ცხოვრების ნაირსახეობაში, მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებში, სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელ კილო-კავებში, მეურნეობისა და საცხოვრებელი სახლების სახეობებში, ტექსტურ ფოლკლორში, ქართული ხალხური მუსიკის ერთიან პოლიფონიურ, მაგრამ ეთნოგრაფიულ მხარეთა მიხედვით განსხვავებულ მუსიკალურ ახმიანებაში, ენაშიც. მხედველობაში გვაქვს აფხაზური, მეგრული და სვანური ენების არსებობა. თუმცა საქართველოს ყველა რეგიონის საერთო სალიტერატურო ენად რჩებოდა ქართლულზე დაფუძნებული ქართული ენა, მისი ანბანი, რომელიც მსოფლიოში არსებულ 14 ანბანთაგან ერთ-ერ-

თია როგორც საერთოქართული კულტურის პროდუქტი და ერის კულტურული დამოუკიდებლობის სიმბოლო. მიუხედავად „მიკროკულტურათა“ ზემოთ არასრულად ჩამოთვლილი მახასიათებლებისა, სწორედ ერთიანი ქართული ენა და ქართული კულტურული და რელიგიური სივრცისადმი კუთვნილების განცდა აერთიანებდა და აერთიანებს საქართველოს მხარეებს.

როგორც ითქვა, კულტურის საერთაშორისო კვლევებში კულტურის განზომილებად ინდივიდუალისტურ/კოლექტივისტურ მახასიათებლებთან ერთად მიიჩნევა ტოლერანტობის ხარისხი. როგორ შეიძლება დახასიათეს ამ მხრივ ქართული კულტურა? ამასთან დაკავშირებით, უპირველესად, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ისტორიულად ის ყალიბდებოდა და ვითარდებოდა მულტიეთნოსურსა და მულტიკულტურულ გარემოში. მხედველობაში გვაქვს უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე ეთნოსთა და კულტურათა სიმრავლე. ცნობილია, რომ საქართველოში 100-მდე ეთნიკური ჯგუფი სახლობს. ამ რეალობიდან და მაღლა აღნიშნული ქართული კულტურისთვის სახასიათო უცხო კულტურის მიმღებლობისა და ადაპტირების უნარიდან გამომდინარე, უნდა ხაზი გავუსვათ ტოლერანტიზმს მის საარსებო კულტურულ სივრცეში მოსახლე სხვა ხალხებისა და მათი კულტურების მიმართ. ცხადია, ამ მახასიათებლის ფორმირებამაც თავისი ისტორიული გზა განვლო: თავის დროზე ამას ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამაც (IV ს.) შეუწყო ხელი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მცნება სწორედ შემწყნარებლობაა. თუმცა, აქ არანაკლები და შეიძლება ერთ-ერთი განმაპირობებელი როლიც ითამაშა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდეც აზია-ევროპის გზაგასაყარზე საქართველოს მდებარეობამ და ამის გამო მის ტერიტორიაზე მეზობელი (და არა მარტო) ეთნოსების გადაადგილებამ, და ზოგიერთი მათგანის დისპერსიულად თუ კომპაქტურად დამკვიდრების გამოცდილებამ; ქართველ სამეფო-სამთავროების მესვეურთა პოლიტიკამ, რაც გამოიხატებოდა მტრის შემოსევების გამო გაუკაცრიელებულ ადგილებში პოლიტიკურ-ეკონომიკური მოსაზრებით სხვადასხვა ეთნოსთა ჯგუფების გამიზნულად ჩამოსახლებამ თუ სხვა არაერთმა ფაქტორმა. გარდა ამის, ქართველ ტომთა განსახლების ადგილი მრავალი ასწლეული იყო უცხო ეთნიკური წარმომავლობისა და აღმსარებლობის ხალხის მიერ დაპყრობა-აგრესის ობიექტი. საუკუნების განმავლობაში საქართველოში უცხო ეთნოსთან „მიმოსლვისა“ თუ დამკვიდრების შედეგად და პარალელურად მიმდინარეობდა არა მხოლოდ თანამეგუების რთული პროცესი, არამედ კულტურათა და ტრადიციათა ბუნებრივი, კანონზომიერი და ურთიერგაზიარება-გაცვლაც. ეს ისტორიული პროცესი ავტოქთონ ქართველ ერს, ბუნებრივია, თავის მხრივ, გამოუმუშავებდა „უცხო სხეულთან“ შეგუების, თანაცხოვრების უნარს, ტოლერანტულ განწყობას უცხო კულტურათა მიმართაც. სხვანაირადაც შეიძლება ითქვას, ეს კულტურული ტოლერანტიზმი ქართული კულტურის ფსიქოლოგიურ დეტერმინანტად ჩამოყალიბდა. ამიტომ სხვადასხვა ეთნოსთა მიმართ ქართველ ხალხსა და ქართულ კულტურას ქვეყნის შიგნით თითქმის არასდროს ჰქონია, დღევანდელი სამეცნიერო ტერმინილოგია რომ

მოვიმარჯვოთ, ეთნოცენტრისტული დამოკიდებულება. ეთნოცენტრიზმი კი, როგორც ვიცით, ნიშნავს საკუთარი კულტურის მიჩნევას სხვებზე აღმატებულად. XX საუკუნის შუა ხანებამდე ეთნოკულტურის კვლევაში არ-სებობდა ეთნოცენტრისტული მიმართულება, შემდეგ კი ეთნოცენტრიზმის საპირისპიროდ ჩამოყალიბდა ახალი თვალსაზრისი ეთნორელატივიზმი, რომელიც ემყარება ყველა კულტურის თანაბარი მნიშვნელობის აღიარებას (კაკიტებაშვილი, ნიუარაძე, ჩიქოვანი, ჩხაიძე, ქვრივიშვილი, წერეთელი 2012: 189, 192). ამ სამეცნიერო ინსტრუმენტალიების მოშველიებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველის კულტურული ცნობიერებისთვის ისტორიულად სახასიათო იყო ტოლერანტიზმი, ეთნორელატივიზმი, სხვანაირად კულტურული რელატივიზმი და ინტერკულტურული დიალოგის წარმოების უნარი სხვა კულტურებსა და მათს წარმომადგენლებთან. ესეც ეროვნული კულტურის ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს.

ქართული კულტურის ფსიქოტიპის ესკიზურად წარმოდგენის მცდელობამაც ცხადი გახდა, რომ ქართველი ერის რთულ ისტორიულ გზაში ადეკვატურად აისახა მისი კულტურის ფსიქოლოგიური დეტერმინანტები, კულტურის ფსიქოლოგთა ტერმინოლოგიით, მისი ღერძული მახასიათებლები: კოლექტივისტური და ისტეროიდული კულტურა; ქართული კულტურის მატარებელი ერის ქცევა-ხასიათის მრავალსახოვნება; კულტურათა სა-საზღვრო ზონაში მდებარეობის გამო დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინთეზირებისა და ადაპტირების თვისება; ეთნოგრაფიული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ე.ნ. მიკროკულტურული მრავალფეროვნება; ტორებანტობა; კულტურული რელატივიზმი და ინტერკულტურული დიალოგის წარმოების უნარი. სათანადო სამეცნიერო წყაროების მეშვეობით ამ მახასიათებელთა ილუსტრირებით წარმოჩნდა ინდივიდუალური სახე ქართული კულტურისა და, ამავე დროს, მოიხაზა, ზოგადად, კულტურებთან მისი მსგავსებანი. ჩვენი სამეცნიერო ინტერესების ფარგლებში, რაც კულტურის პოლიტიკის კვლევას მოიცავს, ნათლად გამოიკვეთა კულტურის პოლიტიკის ორგანული კორელაციური კავშირი კულტურასა და მის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებთან. ამ უკანასკნელის შესწავლის აუცილებლობა და შედეგების გათვალისწინება განისაზღვრა გარანტიად კულტურის პოლიტიკის შემუშავებისა და მისი მართებული იმპლემენტაციისათვის.

დამოწმებანი:

- Asatiani, Guram. *Sataveebtan*. Tbilisi: gamomtsemloba “sabch’ota sakartvelo”. 1982 (ასათიანი, გურამ. სათავეებთან. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982);
Bat’onishvili, Vakhush’ti. *Aghts’era Sakartvelosa. Kartlis Tskhovreba*. T’IV. Tbilisi: gamomtsemloba “sabch’ota sakartvelo”. 1973 (ბატონიშვილი, ვახუშტი. აღთერთ კართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973);
Bibler, Vladimir. *Ot Naukouchenia k Logike Kul’turi: Dva Pilosopskikh v Vedeniya v Dvadtsats’ Perviy Vek*. Moskva: izd. “politizdat”, 1990 (Библер, Владимир. От научения к логике культуры: два философских введения в двадцать первый век. Москва: изд. „Политиздат“, 1990).

- Chikovani, Nino. *Sakartvelos K'ult'uruli Raoba Da Tsivilizatsiuri K'utvnileba Tsivilizatsiata Teoriis K'ont'ekst'shi* (Teoriuli da Metodologiuri Asp'ekt'ebi). Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2005 (ჩიქოვანი, ნინო. საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა ოფორმის კონტექსტში (თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები). თბილისი: თსუ-ის გამომცემლობა, 2005).
- Gamsakhurdia, K'onst'ant'ine. *Kartveloba da Utskhoetis Genia*. T'.8. Tbilisi: gamomtsemloba "sabch'ota sakartvelo". 1967 (გამსახურდია, კონსტანტინე. ქართველობა და უცხოეთის გენია. ტ.8. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1967).
- Gamq'relidze, Tamaz. *Sakartvelo Evrop'a tu Azia?* Ak'ademia №1. 2001 (გამყრელიძე, თამაზ. საქართველო ევროპა თუ აზია? ACADEMIA 1. 2001).
- Hopst'ede, Girt'. Hopst'ede, Iani. *K'ult'urebi da Organizatsiebi*. Tbilisi: ilias sakhelmts'ipo universit'et'is gagmomtsemloba. 2011 (პოფსტედე, გირტ. პოფსტედე იანი. კულტურები და ორგანიზაციები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011).
- K'ak'it'elashvili, Ketevan, Nizharadze Gaga, Chikovani Nino, Chkhaidze Irak'li, Kvritishvili Maia, Ts'ereteli Ivane. *Msoplio K'ultura*. Tbilisi: 2012 (კავიტელაშვილი, ქეთევან. ნიუარაძე, გაგა. ჩიქოვანი, ნინო. ჩხაიძე, ირაკლი. ქვრივიშვილი, მაია. წერეთელი, ივანე. მხოლოდ კულტურა. თბილისი: 2012).
- K'ap'aneli, K'onst'ant'ine. *Kartuli Suli Estet'ik'ur Sakheebsi*. Tbilisi: Tsu gamomtsemloba. 1996 (კაპანელი, კონსტანტინე. ქართული სული ესთეტიკურ სახეები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996).
- K'ouda, Eduardi. *K'ult'uris Sotsiologia*. Tbilisi: gamomtsemloba "nek'eri". 2001 (კოდუა, ედუარდი. კულტურის სოციოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2001).
- K'ult'ural P'olisi: a P'reliminaru St'udy. Iunesk'o. 1969 (Cultural Policy: a Preliminary Study. UNESCO. 1969),
- Le Boni, Gust'av. *Erebis Psikologija*. Tbilisi: gamomtsemloba "akt'i". 2021 (ლე ბონი, გუსტავ. ერბის ფსიქოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2021).
- Mundi, Saimon. *K'ult'uris P'olit'ik'a. Mok'le Tsnobari*. Tbilisi: sakartvelos k'ult'uris p'op'ularizatsiisa da ganvitarebis pondi. 2001 (მუნდი, საიმონ. კულტურის პოლიტიკა. მოკლე ცნობარი. თბილისი: საქართველოს კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ფონდი, 2001).
- Nizharadze, Gaga. "Kartuli Supra Kult'urul Kont'ekst'shi". *Ganakhlebuli iveria*, №8-9. 2000 (ნიუარაძე, გაგა. „ქართული სუფრა კულტურულ კონტექსტში“. განახლებული ივერია, №8-9. 2000).
- Nizharadze, Gaga. "P'olit'ik'uri Ktseva Sakartveloshi". Ep'oka №1. 2001 (ნიუარაძე, გაგა. „პოლიტიკური ქცევა საქართველოში“. ეპოკა 1. 2001).
- Nizharadze, Gaga. "Kartuli K'ult'ura: Zogadi Makhasideblebi". Chubini. 2003 (ნიუარაძე, გაგა. „ქართული კულტურა: ზოგადი მახასიათებლები“. ჩუბინი, 2003).
- Nizharadze, Gaga. "Or Zghvas Shua Dzvelisdzvelad...". Arili. Maisi. 2015 (ნიუარაძე, გაგა. „ორ ზღვას შეა დევლისძველად...“. არილი, მაისი. 2015).
- Nizharadze, Gaga. Tavneboba Tavisuplebis Kartuli Gageba. Khelmisats'vdomia: <http://sainteresoadamianebi.1tv.ge/?id=91> (ნიუარაძე, გაგა. თავნებისა თავისუფლების ქართული გაგებაა. ხელმისაწვდომია: <http://sainteresoadamianebi.1tv.ge/?id=91>).
- Nizharadze, Gaga. *Ra Ganskhvavebaa Skhvadaskhva Kveq'nis K'ulturebs Shoris?* Khelmisats'vdomia: <https://azrovnebisakademia.ge/rith-ganskhvavdeba-skhvadaskhva-qveqhnis-kultura-erthmanethisgan-phsiqologi-gaga-nizharadze/> (ნიუარაძე, გაგა. რა განსხვავებაა სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის? ხელმისაწვდომია: <https://azrovnebisakademia.ge/rith-ganskhvavdeba-skhvadaskhva-qveqhnis-kultura-erthmanethisgan-phsiqologi-gaga-nizharadze/>).

- Surmanidze, Lali. *Individualist'uri da K'olektivist'uri Sazogadoebibi. Teoriuli Modelebi, Emp'iriuli Kvleveni.* Tbilisi: gamomtsemloba “nek'eri”. 2001 (სურმანიძე, ლალი. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები. თეორიული მოდელები, ემპირიული კვლევები. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2001).
- Q'ulijanishvili, Ak'ak'i. *K'ult'uris Teoria.* Tbilisi: gamomtsemloba “universali”. 2009 (ყულიჯანიშვილი, აკაკი. კულტურის თეორია. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009).
- Uait', Lusli. *Konseptsiya Nauki o Kul'tury. Ts'ignshi: Antologiya Issledovaniy Kul'turi.* T.1. Interperatsii Kul'turi. SPb.: izd. “universitetskaia kniga”. 1997 (Уайт, Лусли. Концепция науки о культуре. Бюдбю: Антология исследований культуры. т.1. Интерпретации культуры. СПб.: изд.“Университетская книга“, 1997).

**Vazha Shatberashvili
(Georgia)**

Psychological Outline of Georgian Culture

Summary

Key words: culture, cultural policy, psychological determinants of Georgian culture.

Culture is considered as genetic memory of a nation, since it abundantly projects the historical way of the nation, its worldview, value orientations, spiritual potential, character and behavior, etc. Culture, as the most national phenomenon, is at the same time an existential value system. It exists as a macrophenomenon and is manifested in each human being and ethnos, in the form of its various characteristics, including psychological determinants. Thus, without the psyche, there exists no culture. All this, in turn, is directly related to the subject of our scientific research, i.e. - the Policy of Georgian Culture, the aim of which is to study not only culture, but also psychological characteristics and cultural requirements of its creator – the human being. Hence, there is an organic correlation between cultural policy and culture, as well as its psychological determinants and without considering the outcome of its research, it is impossible to develop an adequate cultural policy for the purpose of cultural management and its proper implementation. Following the logical argumentation of this micro-theme, we have reviewed modern methods of cultural research that have been approved in cultural psychology. Initially, we drew attention to the fact that this relatively new field of science - cultural psychology - was formed at the intersection of ethnology and cultural anthropology. The subject of cultural psychology is to define relation between culture and the psyche; psychological analysis of cultural phenomena; study of the cultural psychology of groups united by ethnic unity. Corresponding study has acquired a special relevance in the era of globalization and more notably, due to the threat of homogenization, assimilation, degradation and disappearing of cultural characteristics facing the so-called small nations. This, in turn, made our attempt - to define such “small nations” - Georgians and their cultural psychological outline - more relevant.

Culture is manifested in the form of various cultural phenomena. In the psychological analysis of these phenomena in the study of cultures, it is especially problematic to differentiate between universal regularities and cultural specifics, and to study their interrelationships. In order to demonstrate these problems and the purpose projected in the title of our article, we briefly reviewed the etic (common study for all cultures) and the emic (specific study) approaches to research adopted in international practice. The conclusion was made, that fundamental principles in culture are universal, while personal attributes, behavioral models, norms, attitudes – are indigenous, regional. In contemporary cultural studies, despite the validity of both methods, special attention is paid to the latter one - the indigenousness. Moreover, we emphasized that in the empirical study of cultures with international experience, the axial, or in our terminology, marker characteristics of cultures were defined qualitatively and quantitatively differently. This direction of study was formed in 1980 by the Dutch scientist, G. Hofstede. Due to regulatory limitations, we have highlighted only two key cultural dimensions identified by G. Hofstede and afterwards other cultural researchers, in particular: 1. Collectivism and individualism; and 2. The degree of tolerance. Based on this international experience in cultural studies, as well as taking into consideration the outcome of the research of Georgian psychologists within the frames of cultural psychology and including cross-cultural psychology, the article presents an attempt to prescribe some characteristics, in order to define Georgian cultural psychological outline. According to many Georgian psychologists, Georgian culture is a classical collectivist culture focused on small groups, since the main social unit here is kinship, friendship, neighborhood... and everyday life is determined by the rules of behavior existing in these groups. However, it was also noted that, taking into consideration the modern requirements, Georgian collectivist culture acquires some traces of individualistic culture, and numerous examples are cited to prove the abovementioned.

As for the degree of tolerance defined as one of the cultural dimensions, we emphasized with proper argumentation that Georgian culture was historically characterized by tolerance, since it was formed and developed in a multiethnic and multicultural environment. Numerous historical motives for such multiethnicity have been cited: geopolitical location of Georgia; the entry and establishment of ethnic groups from neighboring countries due to victimization or other reasons; deliberate resettlement of foreign ethnic groups in areas depopulated by the enemy to improve the economic situation by the leaders of the political units of Georgia; for the purpose of changing the ethnography by the Russian Empire granting privileges to them for intensive settlement in Georgia, etc. We have considered that the combination of such various objective and subjective data formed the psychological type of the Georgian nation, for which the acceptance and tolerance of foreign ethnic groups and their cultures became organic. As a brief conclusion, we mentioned that due to the abovementioned circumstances, this cultural tolerance was formed as a psychological determinant of Georgian culture. Therefore, it has never been characterized by ethnocentrism, but ethnorelativism was characteristic of Georgian cultural consciousness, in other words - cultural relativism and the ability to

ensure intercultural dialogue. Along with multiculturalism, ethnographic diversity was also defined as a psychological characteristic of Georgian culture as a determinant of micro-cultural diversity. Different landscapes, climates and historical realities of different geographical parts of Georgia have defined the diversity of lifestyles. This was essentially reflected in the depth of a unified Georgian culture, in a certain difference of cultural phenomena (costume, cuisine, more or less different behavior-character of the inhabitants of different countries, diversity of polyphonic music, etc.).

One of the essential dimensions the Georgian culture article emphasizes is the logical and predictable acceptance, processing and transforming of Western (Byzantine) or Eastern cultural and spiritual impulses by the national culture, and creating a unique national culture due to the historical location of Georgia at the intersection of Eastern Europe and Western Asia, as well as the variability of historical circumstances in certain time periods. It was also noted, that in cultural studies space boundaries are changed where ethnic, confessional, geopolitical, cultural-historical and other processes converge, intersect and coexist. Georgia has historically been such a geopolitical and cultural location. Therefore, the concept of border culture, which is widely used today, can be fully applied to Georgian culture. This marginal state of Georgian culture between the West and the East, that is, it represents neither a Western nor an Eastern type of culture, mitigated the threat of cultural duplication and loss of image in relation to both of these worlds. This essential geopolitical factor has conditioned one of the defining psychological characteristics of Georgian culture - the ability to adapt, synthesize and sustainability. In order to further scientific argue this assessment, we have invoked similar views of many Georgian specialists of culturology, writers, linguists.

The range of cultural transmission is wide - it is fixed in tangible and intangible circumstance. It is also defined as learned behavior. One of the ways of empirically analyzing the culture of a nation expressed through behavior, is to observe the behavior of an individual or a social group and to transmit the results scientifically. Since the culture is the strongest determinant of behavior of human being and ethnos, in order to present this psychological phenomenon, in particular, the character of Georgians, we have considered behavior of Georgians provided in Georgian historical sources and literature - empirical examples of psychological impulses of action and psychological determinants; the views of Georgian historians, specialists of culturology and writers on the nature of Georgian culture and separate attempts to create a psychological portrait of the Georgian nation in this regard.

Within the frames of the article, the psychological determinants (collectivist culture; multiculturalism and cultural relativism; micro-cultural diversity; synthesis and adaptation of Western and Eastern cultures due to their location in the cultural boundaries; diversity of Georgian behavior and character, etc.) identified in the attempt to present a psychological outline of Georgian culture, clarified the specifics and uniqueness of the Georgian nation and its culture, and, at the same time, revealed the existence of the universal regularity characteristic of cultures in general.